საქართველო
მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA
MARNEULI MUNICIPALITY AUTHORITY

№ 03-2/036 14 04 2013 წ.

შ.პ.ს „ჯეო როუდ"-ის დირექტორს
ბატონ ვალერი სამხარაძეს

ბატონო ვალერი,

გაცნობებთ, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მიერ გამოცხადებულ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის შიდა გზებისა და ეზოების სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების კონკურსის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვაზე საკონკურსო კომისიის 2013 წლის 17 აპრილის სხდომის #2 ოქმის მიხედვით კომისიამ სრული შემდგენლობით ჩათვალა, რომ სამართლებრივად შემსყიდველი ორგანიზაციის კუთვნილი სახსრების ხარჯვის რაციონალურობის პრინციპიდან გამომდინარე მიზანშეწონილია უპირატესობა მოგენიჭოთ თქვენ, როგორც უმცირესი ფასის მქონე კონკურსანტს იმ შემთხვევაში თუ თქვენი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება – წარმოადგენს განახლებულ ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან და დაამოწმებს ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სათანადო წესით. ვინაიდან, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შერჩევა/ანალიზის შედეგად თვალნათლივ ირკვევა, რომ საკონკურსო განცხადება გამოქვეყნებულია 2013 წლის 10 აპრილს 17 საათსა და 25 წუთზე, ხოლო თქვენს მიერ წარმოდგენილი ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, მომზადებულია 2013 წლის 10 აპრილს 11 საათის 28 წუთსა და 07 წამზე...ამდენად სჩანს, რომ საკონკურსო განცხადებასა და წარმოდგენილ ამონაწერს შორის თარიღობრივი შეუსაბამობა/წინსწრებაა...შეგახსენებთ, რომ საკონკურსო კომისიის მიერ დამტკიცებული საკონკურსო დოკუმენტაციის მე–7 პუნქტის სარეზიუმე ნაწილის პირდაპირი ციტირების თანახმად – „ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, დედნის

3000 ქ.მარნეული რუსთაველის 1 № 73 2 25 25 /// 99 87 93 RUSTAVELI str. MARNEULI

სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები, წარმოდგენილ უნდა იქნეს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად. აღნიშნული მონაცემები შესაბამისი უწყებებიდან მიღებული უნდა იქნას საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების დღიდან". რაც ამ შემთხვევაში არ არის თქვენს მიერ ზედმიწევნით დაცული...აქვე შეგახსენებთ, რომ ამავე საკონკურსო დოკუმენტაციის მე–7 პუნქტის მიხედვით როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისათვის დადგენილია მოთხოვნა, რის შესაბამისადაც – „პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს გასული 2012 წლის განმავლობაში მინიმუმ 100 000 (ასი ათასი) ლარის ოდენობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცი(ებ)ის შედგენის ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილება (წარმოდგენილ უნდა იქნეს შესაბამისი ანალოგიური მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ხელშეკრულებ(ებ)ის და მიღება–ჩაბარების აქტ(ებ)ის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სათანადო წესით დამოწმებული ასლ(ებ)ი"...რაც ასევე არ არის შესრულებული თქვენს მიერ, იმ მხრივ რომ სათანადოდ არ არის დამოწმებული წარმოდგენილი შესაბამისი ანალოგიური მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია – ხელშეკრულებებისა და მიღება–ჩაბარების აქტების ასლების სახით.

აქედან გამომდინარე, მოქმედი შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მიხედვით, გიდგენთ 3 (სამი) დღიან სამუშაო ვადას, რათა დადგენილ ვადაში სრულყოფილად წარმოადგინოთ – განახლებული ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან და თქვენს მიერვე წარმოდგენილი ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები დაამოწმოთ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სათანადო წესით...

პატივისცემით,
საკონკურსო კომისიის
თავმჯდომარე ვანო ბურნაძე